სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/338

ქ. თბილისი

5 ნოემბერი 2019

სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ირ. გაბისონიას მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 ნოემბრის №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, საჯარო სამართლის დეპარტამენტში – პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე 200-საათიანი დატვირთვით; ასოც. პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე 200-საათიანი დატვირთვით; ასოც. პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე 400-საათიანი დატვირთვით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**